ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ეთიკისა და ქცევის კოდექსი

დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორის 2017 წლის 18 ოქტომბრის ბრძანებით N01-17/16

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1.1. ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ეთიკისა და ქცევის კოდექსი ადგენს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ან/ და მის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე ქცევის სავალდებულო ნორმებს და დადგენილი ნორმების დარღვევის შემთხვევაში დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლებსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებს.

1.2. წინამდებარე ეთიკისა და ქცევის კოდექსის მოქმედება ვრცელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, დამხმარე, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალზე, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელზე (შემდგომში - უნივერსიტეტის პერსონალი) და სტუდენტებზე, მათ შორის პროფესიულ სტუდენტზე.

1.3. წინამდებარე ეთიკისა და ქცევის კოდექსის მოქმედება, ასევე ვრცელდება უნივერსიტეტის ტრეინიგებისა და კონსულტაციის ცენტრის (შემდგომში ცენტრი) მიერ ორგანიზებულ ტრეინინგებში მონაწილე მსმენელებზე და თავისუფალ მსმენელებზე (შემდგომში - მსმენელი). ასევე ეთიკისა და ქცევის კოდექსი ვრცელდება ტრეინინგების კომპონენტის განმახორციელებელი პირებზე (როგორც მოწვეული პერსონალი), ტრეინინგების კომპონენტის განმახორციელებელი პირები ექვემდებარებიან ტრეინიგებისა და კონსულტაციის ცენტრის ხელმძღვანელს.

1.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გარდა უნივერსიტეტის პერსონალის წარმომადგენლები და სტუდენტები ვალდებულნი არიან დაიცვან წინამდებარე კოდექსით დადგენილი მოთხოვნები. ეთიკისა და ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ნორმებზე ინფორმაციის არ ქონა, მათი დარღვევის შემთხვევაში არ ათავისუფლებს უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს შემდგომი პასუხისმგებლობისგან.

თავი II. ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები

მუხლი 2. უნივერსიტეტის პერსონალისთვისა და სტუდენტებისთვის ქცევის ზოგადი წესები

2.1 უნივერსიტეტის პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის ქცევის ზოგადი წესები:

2.1.1. უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები სრულად იზიარებენ უნივერსიტეტის წესდებით, დებულებით, ეთიკისა და ქცევის კოდექსით და სხვა შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებულ დებულებებს, წესებს, მოთხოვნებს, ღირებულებებსა და პრინციპებს და განუხრელად იცავენ მათ;

2.1.2. იცავენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა საუნივერსიტეტო მარეგულირებელი დოკუმენტებით დადგენილი მოთხოვნებს;

2.1.3. არ ერთვებიან ისეთ საქმიანობაში, რაც აზიანებს უნივერსიტეტის ინტერესებს ან/და ეწინააღმდეგება მის მიზნებს ან ხელს უშლის უნივერსიტეტის პერსონალს მათი პროფესიული მოვალეობების შესრულებაში ან/და სტუდენტებს განათლების მიღების პროცესში;

2.1.4. არ ახორციელებენ რაიმე სახის ისეთ ქმედებას რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებში ან უნივერსიტეტის პერსონალში კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობას ან/და გამწვავებას;

2.1.5. არ ახორციელებენ სხვა პირის დისკრიმინაციას, რაც შესაძლებელია გამოიხატებოდეს უნივერსიტეტის პერსონალის ან/და სტუდენტებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის ხელშეშლაში, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიხედვით;

2.1.6. არ ახორციელებენ სხვა პირის სექსუალურ შევიწროებას - ვერბალური, არავერბალური ან/და ფიზიკური ქმედება, რომელიც შეიძლება გამოიხატებოდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს პირის მიმართ არასასურველ ფიზიკურ შეხებაში, მუქარის ან წახალისების გამოყენებაში სექსუალური სარგებლის მისაღებად, გარეგნულ ნიშანზე ან/და ჩაცმულობაზე სექსუალური ხასიათის კომენტარ(ებ)ში, მათ შორის, სოციალური ქსელებისა და სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო არხების გამოყენებით;

2.1.7. სოციალური ქსელის ან/და მასობრივი მაუწყებლობის მეშვეობით არ აკეთებენ საჯარო განცხადებას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ზიანს აყენებს უნივერსიტეტს, მისი პერსონალის ან/და სტუდენტების პატივს, ღირსებას ან რეპუტაციას;

2.1.8. თანაბარი პატივისცემით და თავაზიანად ეპყრობიან უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მიუხედავად მათი პროფესიული უნარების, თუ პიროვნული თავისებურებებისა;

2.1.9. მეტყველებენ ეთიკური ნორმების შესაბამისად, გამართული და გასაგები ენით;

2.1.10. უფრთხილდებიან უნივერსიტეტის ქონებას და მიზნობრივად იყენებენ უნივერსიტეტის რესურსებს.

მუხლი 3. უნივერსიტეტის პერსონალის ქცევის სავალდებულო წესები

3.1 უნივერსიტეტის პერსონალი, თავის პროფესიულ საქმიანობაში მოქმედებს შემდეგი პრინციპების დაცვით:

3.1.1. საკუთარ საქმიანობას წარმართავენ მიუკერძოებლობის, პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;

3.1.2. იცავენ პუნქტუალობას და არ აცდენენ სამუშო პროცესს არასაპატიო მიზეზით, ხოლო საპატიო მიზეზით გაცდენის/დაგვიანების შემთხვევაში წინასწარ აცნობებენ ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს/უშუალო ხელმძღვანელს/შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორს;

3.1.3. ეფექტიანად/რაციონალურად იყენებენ პროფესიული საქმიანობისთვის განკუთვნილ დროს, საგანმანათლებლო/სამსახურებრივი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად;

3.1.4. არ იყენებენ პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს პირადი მიზნებისთვის;

3.1.5. არ იყენებენ სტუდენტის ან/და უნივერსიტეტში დასაქმებულ სხვა პირის ფიზიკურ, ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის;

3.1.6. ზრუნავენ საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, უზიარებენ შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას კოლეგებსა და თანამშრომლობენ მათთან;

3.1.7. ხელს უწყობენ სტუდენტებში დემოკრატიული, სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის ღირებულებების ჩამოყალიბებას;

3.1.8. თანამშრომლობენ უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებთან/ადმინისტრაციასთან და საკუთარი წვლილი შეაქვთ უნივერსიტეტის განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებებში;

3.1.9. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობებისა და გარემოს შექმნას;

3.1.10. უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას წარმართავს აკადემიური და სამეცნიერო ეთიკის სტანდარტებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, რათა თავიდან იქნას აცილებული არაკეთილსინდისერი ქცევის ნებსიმიერი ფორმა (მათ შორის პლაგიატი, მონაცემების ან/და კვლევის ფალსიფიკაცია/ფაბრიკაცია და სხვა).

3.1.11. საკუთარი საქმიანობის წარმართვის პროცესში უნივერსიტეტის პერსონალი იცავს უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებს.

3.2 უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ქცევის წესები და ვალდებულებები:

3.2.1. სასწავლო პროცესს წარმართავენ უნივერსიტეტის წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად;

3.2.2. წინასწარ განსაზღვრულ დროზე ადრე არ დაასრულოს ლექცია, სემინარი ან სხვა საგანმანათლებლო აქტივობა;

3.2.3. საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფენ სასწავლო კომპონენტის წარმართვის მეთოდოლოგიის პერიოდულ განახლებასა და დახვეწას;

3.2.4. თანაბარი პატივისცემა და ყურადღება გამოიჩინონ ყველა სტუდენტის მიმართ განურჩევლად მათი სქესის და ასაკის, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური კუთვნილებისა თუ სხვა ნიშნისა;

3.2.5. სასწავლო კომპონენტის სილაბუსის შესაბამისად სტუდენტებისთვის გამოყონ საკონსულტაციო დრო;

3.2.6. სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი დრო გამოიყენონ ეფექტიანად, მხოლოდ სწავლის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად;

3.2.7. პატივს სცემენ სტუდენტებს და მათ აზრებს, უქმნიან მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად;

3.2.8. პატივს სცემენ და იცავენ კოლეგებისა და სტუდენტების აკადემიურ თავისუფლებას;

3.2.9. სამართლიანად და მიუკერძოებლად აფასებენ სტუდენტებს და აწვდიან მათ სრულყოფილ ინფორმაციას შეფასების სისტემის შესახებ.

მუხლი 4. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტის მიერ ეთიკისა და ქცევის კოდექსის დარღვევა

4.1. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტის მიერ ეთიკისა და ქცევის კოდექსის დარღვევად ასევე მიიჩნევა:

4.1.1. თამბაქოს/ელექტრო სიგარეტის მოწევა უნივერსიტეტის შენობაში ან/და სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

4.1.2. ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება, თუ ღონისძიება სპეციალურად არ არის ორგანიზებული ან ნებადართული უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ;

4.1.3. ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;

4.1.4. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება ან/და სხვისთვის გადაცემა;

4.1.5. ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;

4.1.6. უნივერსიტეტის ქონების დაზიანება, დაკარგვა, განადგურება ან სხვაგვარი ხელყოფა;

4.1.7. უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება;

4.1.8. სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის;

4.1.9. სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, ან/და დაშინება;

4.1.10. სხვა პირის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება; ასევე, სხვა პირის საკუთრების უფლების რაიმე სახით მართლსაწინააღმდეგო შეზღუდვა;

4.1.11. მცდარი მონაცემების შემცველი ინფორმაციის გავრცელება უნივერსიტეტის საქმიანობის, სტუდენტის ან/და უნივერსიტეტში დასაქმებული სხვა პირების შესახებ;

4.1.12. უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრების/თანასაკუთრების არამართლზომიერი გამოყენება;

4.1.13. უნივერსიტეტის „შიდა ელექტრონული საკომუნიკაციო არხების გამოყენებისა და ადმინისტრირების მარეგულირებელი წესებით“ განსაზღვრული ვალდებულების დარღვევა;

4.1.14. „ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინტიტუტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით“ დადგენილ მოთხოვნების დარღვევა;

4.1.15. უნივერსიტეტის შენობის კედლებზე ან მის გარე ფასადზე წარწერის გაკეთება ან სხვა სახით ვიზუალური იერსახის შეცვლა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინასწარი თანხმობის გარეშე;

4.1.16. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ბანქოს ან სხვა სახის აზარტული თამაშის მოწყობა.

თავი III. სტუდენტთა ეთიკისა და ქცევის წესები

მუხლი 5. სტუდენტთა ეთიკისა და ქცევის სავალდებულო წესები

5.1. წინამდებარე თავი ადგენს სტუდენტის ეთიკისა და ქცევის საერთო წესებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტისათვის.

5.2. სტუდენტი ვალდებულია პატივი სცეს უნივერსიტეტის სახელს და გაუფრთხილდეს მის რეპუტაციასა და ავტორიტეტს.

5.3. სტუდენტი ვალდებულია პატივი სცეს უნივერსიტეტის პერსონალსა და სხვა სტუდენტებს, ასევე მათ პირად ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს.

5.4. სტუდენტის ეთიკისა და ქცევის სავალდებულო წესები:

5.4.1. პატივისცემით და თავაზიანად მოეპყროს უნივერსიტეტის პერსონალსა და სხვა სტუდენტებს და პატივი სცეს მათ უფლებებს;

5.4.2. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, მათ შორის კვლევითი სამუშაოს განხორციელებისას იმოქმედოს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დაცვით;

5.4.3. არ განახორციელოს ისეთი ქმედებები, რაც ხელს შეუშლის უნივერსიტეტის პერსონალის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებას ან/და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, მათ შორის სტუდენტების ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის რესურსებზე (ბიბლიოთეკებზე და სხვ);

5.4.4. არ განახორციელოს ისეთი ქმედებები, რაც პირდაპირ ან ირიბად გამოიწვევს, ან წაახალისებს დისკრიმინაციულ მიდგომას უნივერსიტეტის პერსონალისა და სხვა სტუდენტების მიმართ;

5.4.5. დროულად გამოცხადდეს შეფასებებზე/გამოცდებზე, დაიცვას შეფასების/გამოცდის ჩაბარებისთვის უნივერსიტეტში დადგენილი წესები; არასაპატიო მიზეზით არ გააცდინოს შეფასებები/გამოცდები.

5.4.6. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე თავი შეიკავოს პირადი ან ჯგუფური მიზნებისთვის უნივერსიტეტის დასახელების, ლოგოს ან სხვა მაიდენტიფიცირებელი ნიშნის გამოყენებისგან უნივერსიტეტის ინტერესების საზიანოდ.

მუხლი 6. სტუდენტის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა

6.1 სტუდენტი ვალდებულია სასწავლო და კვლევითი საქმიანობის წარმართვის დროს იხელმძღვანელოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

6.2 სტუდენტის მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევად მიიჩნევა:

6.2.1. სასწავლო ან/და კვლევითი პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა;

6.2.2. პლაგიატი (სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის, როგორც საკუთრის წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე);

6.2.3. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გადაწერა-კარნახი;

6.2.4. კვლევითი სამუშაოების ფაქტობრივი ინფორმაციის გამოყენება ან გაყალბება;

6.2.5. შეფასების/გამოცდის მსვლელობისას მობილური ტელეფონით, სხვა სახის ტექნიკური საშუალებით ან ნებისმიერი სახის დამხმარე მასალით სარგებლობა, სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირის წინასწარი ნებართვის გარეშე;

6.2.6. ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა;

6.2.7. კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება ან/და შეფასების/გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, საკუთარი ან/და სხვის შესაფასებლად ჩაბარებული ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება;

6.2.8. შეფასების მიღება ან მიღების მცდელობა გამომცდელისთვის/უნივერსიტეტის პერსონალისთვის მატერიალური ან/და სხვა ტიპის სარგებლის შეთავაზებით, მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა ან სხვა არამართლზომიერი ქმედებით;

6.2.9. აკადემიური ეთიკის ნორმების დაუცველობა;

6.2.10. სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის/შეფასების ჩაბარება/ჩაბარების მცდელობა/შეფასების მიღება/შეფასების მიღების მცდელობა, ან თხოვნა სხვა პირისათვის, რომ მის მაგივრად ჩააბაროს გამოცდა/მიიღოს შეფასებაში მონაწილეობა;

6.2.11. სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა ან სხვაგვარად ხელყოფა;

6.2.12. საკუთარი ან სხვისი საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბება;

6.2.13. ხელის შეშლა სხვა სტუდენტისათვის სწავლისა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით, განადგურებით ან სხვაგვარი ქმედებით;

6.2.14. სხვა სტუდენტისთვის ხელის შეწყობა აკადემიურ სიყალბეში;

6.2.15. წინამდებარე კოდექსის V თავით განსაზღვრული ნორმების დარღვევა.

თავი IV. დისციპლინური წარმოება

მუხლი 7. დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძვლები

7.1. ეთიკისა და ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ნორმის დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტს ეკისრება დისციპლინური სახდელი.

7.2. დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველია:

7.2.1. წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული ეთიკისა და ქცევის ნორმების დარღვევა;

7.2.2. მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა;

7.2.3. უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა/დარღვევა;

7.2.4. ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც შესაძლოა პირდაპირ არ წარმოადგენს 7.2.1 – 7.2.3 ქვეპუნქტებში წარმოდგენილ დარღვევას, მაგრამ ზიანს აყენებს უნივერსიტეტის საქმიან რეპუტაციას ან/და წარმოადგენს სტუდენტისთვის ან უნივერსიტეტის პერსონალისთვის შეუფერებელ საქციელს.

მუხლი 8. დისციპლინური სახდელის სახეები

8.1 უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის მხრიდან ეთიკისა და ქცევის კოდექსის დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური სახდელის ერთ-ერთი შემდეგი სახე:

8.1.1. შენიშვნა;

8.1.2. საყვედური;

8.1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურებიდან ერთჯერადად 20%-მდე დაკავება;

8.1.4. ხელშეკრულების შეწყვეტა.

8.2 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მხრიდან ეთიკისა და ქცევის კოდექსის დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური სახდელის ერთ-ერთი შემდეგი სახე:

8.2.1. შენიშვნა;

8.2.2. საყვედური;

8.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურებიდან ერთჯერადად 20%-მდე დაკავება ან დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა;

8.2.4. ხელშეკრულების შეწყვეტა.

8.3 სტუდენტის/მსმენელის მხრიდან ეთიკისა და ქცევის კოდექსის დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური სახდელის ერთ-ერთი შემდეგი სახე:

8.3.1. შენიშვნა;

8.3.2. საყვედური;

8.3.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა/ხელშეკრულების შეწყვეტა.

მუხლი 9. უშუალო ხელმძღვანელის/სკოლის დეკანის, ცენტრის ხელმძღვანელის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ეთიკისა და ქცევის კოდექსის შესაძლო დარღვევის ფაქტის შესწავლა და შესაბამისი პირისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრება

9.1. უნივერსიტეტში დასაქმებული პირის მიერ ეთიკისა და ქცევის კოდექსის შესაძლო დარღვევის შემთხვევაში, უშუალო ხელმძღვანელი (ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შემთხვევაში)/სკოლის დეკანი (აკადემიური/მოწვეული პერსონალის შემთხვევაში) რექტორთან შეთანხმებით, უფლებამოსილია თავად შეისწავლოს საკითხი და დაადგინოს დაირღვა თუ არა ეთიკისა და ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ნორმა ან წერილობითი განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს, რათა საკითხი შესწავლილ იქნას დისციპლინური კომისიის მიერ.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ უშუალო ხელმძღვანელის/სკოლის დეკანის მიერ რექტორთან შეთანხმებით მიღებული იქნება გადაწყვეტილება თავად შეისწავლოს დასაქმებული პირის მიერ ეთიკისა და ქცევის კოდექსის შესაძლო დარღვევის ფაქტი, დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია დისციპლინური სახდელის სახით პირს განუსაზღვროს შენიშვნა ან საყვედური.

9.3. სტუდენტის მიერ ეთიკისა და ქცევის კოდექსის შესაძლო დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი რექტორთან შეთანხმებით, უფლებამოსილია თავად შეისწავლოს საკითხი და დაადგინოს დაირღვა თუ არა ეთიკისა და ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ნორმა, ან წერილობითი განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს, რათა საკითხი შესწავლილ იქნას დისციპლინური კომისიის მიერ.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ რექტორთან შეთანხმებით მიღებული იქნება გადაწყვეტილება თავად შეისწავლოს სტუდენტის მხრიდან ეთიკისა და ქცევის კოდექსის შესაძლო დარღვევის ფაქტი, დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია დისციპლინური სახდელის სახით პირს განუსაზღვროს შენიშვნა ან საყვედური.

9.5. მსმენელის ან ტრეინინგის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ ეთიკისა და ქცევის კოდექსის შესაძლო დარღვევის შემთხვევაში, ცენტრის ხელმძღვანელი რექტორთან შეთანხმებით, უფლებამოსილია თავად შეისწავლოს საკითხი და დაადგინოს დაირღვა თუ არა ეთიკისა და ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ნორმა, ან წერილობითი განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს, რათა საკითხი შესწავლილ იქნას დისციპლინური კომისიის მიერ.

9.6. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრის ხელმძღვანელის მიერ, რექტორთან შეთანხმებით, მიღებული იქნება გადაწყვეტილება თავად შეისწავლოს მსმენელის ან ტრეინინგის კომპონენტის

განმახორციელებელი პირის მხრიდან ეთიკისა და ქცევის კოდექსის შესაძლო დარღვევის ფაქტი, დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია დისციპლინური სახდელის სახით პირს განუსაზღვროს შენიშვნა, საყვედური ან ხელშეკრულების შეწყვეტა, ტრეინინგის კომპონენტის განმახორციელებელი პირის შემთხვევაში, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურებიდან ერთჯერადად 20%-მდე დაკავება.

9.7. წინამდებარე მუხლის 9.2; 9.4 და 9.6 პუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას უფლებამოსილი პირის მიერ ეთიკისა და ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ნორმის შესაძლო დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, წერილობითი ფორმით.

9.8. უშუალო ხელმძღვანელის/დეკანის მიერ ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება, წერილობითი ფორმით უნდა გადაეცეს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს.

9.9. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება, წერილობითი ფორმით უნდა გადაეცეს შესაბამისი სკოლის დეკანს, პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით უნდა გადაეცეს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს.

9.10. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგის კომპონენტის განმახორციელებელი პირის ან მსმენელის მიმართ დაკისრებული დისციპლინური სახდელების აღრიცხვას აწარმოებს ამავე ცენტრის ხელმძღვანელი.

9.11. პირი, რომელსაც უშუალო ხელმძღვანელის/სკოლის დეკანის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ცენტრის ხელმძღვანელის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დაეკისრა დისციპლინური სახდელი, - რექტორის სახელზე დასაბუთებული წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება, დისციპლინური სახდელის დაკისრებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

9.12. უნივერსიტეტის რექტორი დასაბუთებული წერილობითი განცხადების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილ განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

9.13. დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას დისციპლინური კომისიის შექმნის შესახებ, რომლის საქმიანობა რეგულირდება წინამდებარე კოდექსის მე-11, მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად.

9.14. წინამდებარე მუხლის 9.12 პუნქტის საფუძველზე შექმნილი დისციპლინური კომისია საკითხის შესწავლის შემდგომ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

9.13.1 პირის მიმართ დაკისრებული დისციპლინური სახდელის ძალაში დატოვების შესახებ;

9.13.2 პირის მიმართ უფრო მსუბუქი დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ;

9.13.3 პირის მიმართ დაკისრებული დისციპლინური სახდელის გაუქმების შესახებ.

მუხლი 10. დისციპლინური წარმოების დაწყება

10.1. დისციპლინური წარმოების დაწყება შესაძლებელია:

10.1.1. პირის საჩივრის საფუძველზე, რომელსაც მიაჩნია რომ მის მიმართ დაირღვა ეთიკისა და ქცევის კოდექსით განსაზღვრული ნორმები;

10.1.2. უნივერსიტეტის პერსონალის ან სტუდენტის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, რომელიც ფლობს წინამდებარე ეთიკისა და ქცევის კოდექსით განსაზღვრული ნორმების დარღვევის შესახებ ინფორმაციას;

10.1.3. რექტორის გადაწყვეტილებით, სოციალური ქსელის, მასობრივი მაუწყებლობის ან სხვა საჯარო გამოსვლის/განცხადების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც შეიცავს პერსონალის წარმომადგენლის ან სტუდენტის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევის შესაძლო ნიშნებს;

10.1.4. ეთიკისა და ქცევის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

10.2. უნივერსიტეტის რექტორი, შეისწავლის საჩივარს/განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური კომისიის შექმნისა და დისციპლინური კომისიის მიერ საჩივრის/განცხადების შესწავლის შესახებ.

10.3. თუ საჩივარი/განცხადება არ შეიცავს ეთიკისა და ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის ნიშნებს, ან თუ შემოტანილია პირის მიმართ, რომელიც განცხადების შემოტანის დროს არ არის უნივერსიტეტის პერსონალის წარმომადგენელი ან სტუდენტი, უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია განუხილველად დატოვოს საჩივარი/განცხადება.

10.4. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

მუხლი 11. დისციპლინური კომისიის შემადგენლობის განსაზღვრა

11.1. ეთიკისა და ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესაძლო დარღვევის შესწავლის მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე ყოველი ინდივიდუალური შემთხვევიდან გამომდინარე, იქმნება დისციპლინური კომისია, რომელიც უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისგან და მასში შესაძლოა შედიოდნენ:

11.2.1 უნივერსიტეტის რექტორი;

11.2.2 კანცლერი/უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

11.2.3 სკოლის დეკანი;

11.2.4 აკადემიური/მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები;

11.2.5 ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები;

11.2.6 სტუდენტები;

11.2.7 საჭიროებისამებრ, უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენლები ან მოწვეული ექსპერტები.

11.2. დისციპლინური კომისიის შექმნის შესახებ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში, პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური წარმოება, უნდა ეცნობოს აღნიშნულის შესახებ.

11.3. პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური წარმოება, აღნიშნულის შესახებ შეტყობინებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში უფლება აქვს უნივერსიტეტის რექტორს დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მიმართოს დისციპლინური კომისიის წევრის/წევრების აცილების მოთხოვნით.

11.4. უნივერსიტეტის რექტორი წინამდებარე მუხლის 11.3 პუნქტით გათვალისწინებული დასაბუთებული წერილობითი განცხადების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის მას და იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

11.5. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდება წინამდებარე მუხლის 11.4 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი განცხადება, მისი ბრძანების საფუძველზე ცვლილება შედის დისციპლინური კომისიის შემადგენლობაში.

მუხლი 12. დისციპლინური კომისიის სხდომის მიმდინარეობა

12.1. დისციპლინური კომისია საკითხის შესასწავლად იკრიბება მას შემდეგ, რაც ამოიწურება დისციპლინური კომისიის წევრის/წევრების აცილებისთვის განსაზღვრული ვადა.

12.2. დისციპლინური კომისია საკითხს იხილავს სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დაცვით.

12.3. დისციპლინური კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი ან რექტორის დავალებით დისციპლინური კომისიის თავმჯდომარეს, საკუთარი შემადგენლობიდან, ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრის გზით ირჩევენ კომისიის წევრები.

12.4. დისციპლინური კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. იმ შემთხვევაში, თუ დისციპლინური კომისიის სხდომას არ ესწრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, დისციპლინური კომისიის წევრები თავმჯდომარეს ირჩევენ საკუთარი შემადგენლობიდან, ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრის გზით.

12.5. საკითხის განსახილველად დისციპლინური კომისია იკრიბება ერთჯერადად, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, როდესაც საკითხის შინაარსიდან გამომდინარე აუცილებელია დისციპლინური კომისიის ხელახალი შეკრება. გადაწყვეტილება ხელახალი

შეკრების შესახებ მიიღება დისციპლინური კომისიის მიერ ხმათა უმრავლესობის საფუძველზე.

12.6. გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების ან დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ მიიღება დისციპლინური კომისიის სხდომაზე დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით და ფორმდება შესაბამისი ოქმით. გადაწყვეტილების მიღების დროს დისციპლინური კომისიის წევრების ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება დისციპლინური კომისიის თავმჯდომარეს.

12.7. დისციპლინური კომისიის სხდომაზე პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური წარმოება ეძლევა შესაძლებლობა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით წარმოადგინოს საკუთარი ახსნა-განმარტებები ან/და მტკიცებულებები.

12.8. დისციპლინური კომისია ვალდებულია წარმოდგენილი საკითხი განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის რექტორის მიერ დისციპლინური კომისიის შექმნის შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

12.9. დაუშვებელია დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის დისციპლინურმა კომისიამ პირს დააკისროს ერთზე მეტი დისციპლინური სახდელი.

12.10. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების (დანაშაული) ჩადენისას, უნივერსიტეტი დაუყოვნებლივ მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს.

12.11. დისციპლინური კომისიის სხდომა დახურულია. სტუდენტის, უნივერსიტეტის პერსონალის მოთხოვნის საფუძველზე სხდომა შეიძლება იყოს საჯარო; გადაწყვეტილების დისციპლინური კომისიის სხდომის საჯარო ფორმატით ჩატარების შესახებ იღებს დისციპლინური კომისიის თავმჯდომარე.

12.12. საჭიროების შემთხვევაში, სხდომაში მონაწილეობის მისაღებად დისციპლინურმა კომისიამ შესაძლოა მოიწვიოს მოწმეები და სხვა პირები, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, მასალები და ინფორმაცია და საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის მიზნით განახორციელოს სხვა ქმედებები.

12.13. პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური წარმოება უფლება აქვს:

12.12.1. წერილობითი ფორმით მიიღოს გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

12.12.2. დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას;

12.12.3. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, დისციპლინურ კომისიას, მიაწოდოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

12.12.4. მონაწილეობა მიიღოს დისციპლინური კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

12.12.5. დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს დისციპლინური კომისიის წევრის/წევრების აცილების მოთხოვნით.

მუხლი 13. დისციპლინური კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სახეები

13.1. დისციპლინური კომისია შესაბამისი საკითხის განხილვის შედეგად იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

13.1.1 დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ პირის მიმართ არ დადგინდა ეთიკისა და ქცევის კოდექსით განსაზღვრული ნორმის დარღვევა, ამოიწურა შესაძლო დისციპლინური დარღვევის შესწავლისთვის და გადაწყვეტილების მიღებისთვის დადგენილი ვადა, გადაწყვეტილების მიღებამდე პირს შეუწყდა შესაბამისი ხელშეკრულება უნივერსიტეტთან;

13.1.2 პირის მიერ ეთიკისა და ქცევის კოდექსით განსაზღვრული ნორმის დარღვევის დადგენის შესახებ (პირის მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური სახდელის მითითებით).

13.2. დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს.

13.3. დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დისციპლინური კომისია ვალდებულია გაითვალისწინოს ჩადენილი გადაცდომის შინაარსი, ხარისხი, სიმძიმე, განმეორებითობა, მიყენებული (ან შესაძლო) ზიანი, შედეგები, აგრეთვე ჩადენის გარემოებები, ჩამდენის პიროვნება, დამსახურება და სხვა გარემოებები.

13.4. თუ პირს დისციპლინურ სახდელად დაკისრებული აქვს შენიშვნა ან საყვედური და სახდელის დაკისრებიდან ერთი წლის განმავლობაში მის მიმართ კვლავ დადასტურდება ეთიკისა და ქცევის ნორების დარღვევა, დისციპლინური კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება უფრო მკაცრი დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ.

13.5. დისციპლინური კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ, წერილობითი სახით ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს, რომლის საფუძველზეც იგი გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ.

13.6. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის პერსონალს ან სტუდენტს დისციპლინური სახდელი დაეკისრა უნივერსიტეტის ქონების დაზიანების ან განადგურების გამო, დაკისრებული დისციპლინური სახდელი მას არ ათავისუფლებს უნივერსიტეტისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

13.7. სტუდენტს/უნივერსიტეტის პერსონალს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელი.

მუხლი 14. დაკისრებული დისციპლინური სახდელის მოხსნის წესი

14.1. შენიშვნის ან საყვედურის დაკისრების შემთხვევაში, დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადა არის ერთი წელი.

14.2. თუ დისციპლინური სახდელის მქონე უნივერსიტეტის პერსონალს ან სტუდენტს ერთი წლის ვადაში არ დაეკისრა ახალი დისციპლინური სახდელი, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.

14.3. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე, პირს რომელსაც დისციპლინური სახდელის ფორმად დაკისრებული აქვს შენიშვნა ან საყვედური, დისციპლინური სახდელი შეიძლება მოეხსნას ვადაზე ადრე, დისციპლინური სახდელის მქონე პირის განსაკუთრებული დამსახურების გამო.

თავი V. კვლევის ეთიკა და აკადემიური კეთილსინდისიერება

მუხლი 15. აკადემიური კეთილსინდისიერება

15.1. უნივერსიტეტი აღიარებს, იცავს და მონიტორინგს უწევს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას, რაც თანაბრად ვრცელდება, როგორც უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე, ისე სტუდენტებზე.

15.2. უნივერსიტეტი საკუთარ კვლევით საქმიანობას წარმართავს კვლევის სტანდარტებისა და პროფილური პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით. უნივერსიტეტის მრავალპროფილური კვლევითი გამოცდილება ეფუძნება რამდენიმე დოკუმენტს, მათ შორის საერთაშორისო სავაჭრო პალატისა (ICC) და საზოგადოებრივი აზრისა და საბაზრო კვლევის ევროპული კავშირის (ESOMAR) საბაზრო და სოციალური კვლევის პრაქტიკის ერთობლივ კოდექსს და ამერიკის სოციოლოგიური ასოციაციის (ASA) ეთიკის კოდექსს.

15.3. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გავრცელებასა და კვლევის ეთიკური სტანდარტების დაცვის ხარისხის ამაღლებას, სათანადო გაცნობიერებასა და ქცევის წესების დამკვიდრებას შესაბამისი მხარდამჭერი საუნივერსიტეტო რეგულაციების (წინამდებარე კოდექსი - ეთიკისა და ქცევის კოდექსი; ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები - „თავი VII - პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების და მისი გამოვლენის შემთხვევაში რეაგირების პროცედურები და მექანიზმები“; სტუდენტთა ინსტრუქცია პლაგიატის თავიდან აცილების შესახებ), Turnitin Feedback Studio-ს ელექტრონული პროგრამის და არსებული Moodle სისტემაში მისი ინტეგრაციის (Turnitin + Moodle და საჭიროების შესაბამისად, სხვა ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით), აკადემიური წერისა და კვლევის სასწავლო კურსებისა და ტრენინგების მეშვეობით.

მუხლი 16. კვლევითი საქმიანობის ეთიკა

16.1. უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობა ხორციელდება აკადემიური კეთილსინდისიერების საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრინციპებისა და სტანდარტების დაცვით, რაც გულისხმობს კვლევის პროცესში ისეთი ღირებულებებით ხელმძღვანელობას, როგორიცაა პატიოსნება, სანდოობა, სიზუსტე, სამართლიანობა, პატივისცემა, პასუხისმგებლობა, ზიანის არ მიყენება და კონფიდენციალურობის დაცვა, რაც უზრუნველყოფილია მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით.

16.2. უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო კვლევა უნდა ტარდებოდეს კვლევის ეთიკის სტანდარტების სრული დაცვით, რაც გულისხმობს:

16.2.1. სამეცნიერო კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების გამოქვეყნების პროცესის წარმართვას კეთილსინდისიერად, ხარისხისა და გამჭვირვალეობის პრინციპის სრული დაცვით;

16.2.2. კვლევის პროცესში მონაწილე პირების სრულ ინფორმირებულობას კვლევის მიზნების, მეთოდებისა და კვლევის შედეგების შესაძლო გამოყენების შესახებ, ასევე შესაძლო რისკების თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

16.2.3. კვლევის პროცესში კვლევის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის, რესპონდენტების ანონიმურობის, კვლევის შედეგების ამსახველი, იქნება ეს ტექსტური, აუდიო თუ ვიდე-ჩანაწერი, დოკუმენტაციის შენახვისა და დაარქივების სტანდარტების დაცვას. დაუშვებელია გავრცელდეს ისეთი მონაცემები/ინფორმაცია, რამაც შეიძლება დაარღვიოს წყაროს კონფიდენციალურობა;

16.2.4. კვლევაში მონაწილე პირები ნებაყოფლობით უნდა იღებდნენ მონაწილეობას კვლევაში, რაც ფორმდება შესაბამის თანხმობის წერილზე ხელმოწერით. 18 წლამდე ასაკის პირის კვლევაში მონაწილეობა ხორციელდება მათ მშობლის/ებისა და/ან მათი ინტერესების დამცველი პირის თანამონაწილეობის საფუძველზე. ექსპერიმენტული კვლევის განხორციელების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს მასში მონაწილეთა კანონიერი უფლებები, ღირსება და ავტონომია;

16.2.5. კვლევის პროცესი წარმართული უნდა იყოს ყოველგვარი ძალდატანებისა და კვლევის მონაწილეზე ზიანის მიყენების გარეშე. სავალდებულოა კვლევის მონაწილეთა და მომხმარებელთა კულტურული, ინდივიდუალური და როლური განსხვავებების პატივისცემა, მათ შორის ისეთი განსხვავებების, რომლებიც დაფუძნებულია ასაკზე, სქესზე, გენდერულ იდენტობაზე, სექსუალურ ორიენტაციაზე, ეროვნებაზე, ეთნიკურობაზე, რელიგიაზე, ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებზე, სასაუბრო ენაზე ან სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე. დისკრიმინაციის ნებისმიერი სახის გამოვლინებაზე, რომელიც შესაძლოა ეყრდნობოდეს ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს, რეაგირება ხორციელდება უნივერსიტეტის წინამდებარე კოდექსის რეგულაციების შესაბამისად;

16.2.6. სამეცნიერო კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების გამოქვეყნების პროცესში გამორიცხული უნდა იყოს ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტი, მიკერძოებულობა და მონაცემების ფალსიფიკაცია/მანიპულაციის მცდელობები. კვლევის წარმოების პროცესში დაცული უნდა იყოს ყველა იმ მონაცემის სიზუსტე, რომელიც იკრიბება, ანალიზდება და ქვეყნდება კვლევის საფუძველზე;

16.2.7. სამეცნიერო კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების გამოქვეყნების პროცესი წარიმართება დამოუკიდებლობად, უნივერსიტეტის მხრიდან ავტონომიურობის სრული დაცვით. უნივერსიტეტი არ იღებს პასუხისმგებლობას კვლევის საფუძველზე გამოქვეყნებულ ანგარიშებში, პუბლიკაციებსა და სხვა ტიპის პროდუქციაში გამოთქმულ მოსაზრებებზე, რომელიც არ ასახავს უნივერსიტეტის პოზიციას;

16.2.8. კვლევის შედეგების გამოქვეყნების პროცესში დაცული უნდა იყოს იმ პირთა საავტორო უფლებები, ვინც სათანადო წვლილი შეიტანა კვლევის პროცესში. საავტორო უფლებების მინიჭება ხორციელდება კვლევაში შეტანილი წვლილის შესაბამისად. საკუთრების უფლება კვლევაზე ან მის შედეგებზე კვლევის განხორციელების დაწყებამდე წინასწარ განისაზღვრება ჩართულ დაინტერესებულ მხარეებთან (მაგალითად: ავტორი ან თანაავტორი, უნივერსიტეტი, დონორი, ბენეფიციარი) დადებულ შესაბამის ხელშეკრულებაში;

16.2.9. ინფორმაციისა და მონაცემების ყველა წყარო, რომელიც გამოიყენება კვლევისთვის, უნდა იყოს მკაფიოდ ციტირებული. კვლევაში გამოყენებული წყაროები უნდა იყოს მითითებული, საერთაშორისოდ აღიარებული ციტირების წესის შესაბამისად, როგორც თავად ტექსტში, ისე ტექსტს მიღმა ციტირებების დონეზე, მათ შორის განმეორებით პირველადი წყაროს მითითების შემთხვევაში (თვითპლაგიატის თავიდან აცილების მიზნით).

16.3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვლევის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ყველა ტიპის ნარჩენის, მათ შორის ლაბორატორიულის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამის განთავსებას და იცავს, რომ კვლევითმა საქმიანობამ არ გამოიწვიოს გარემოს დაბინძურება/დეგრადაცია.

16.4. უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს მოეთხოვება აფილირება მოახდინოს უნივერსიტეტთან ნებისმიერი მისი კვლევითი აქტივობის (სტატიის გამოქვეყნების, მოხსენებით გამოსვლის, საჯარო დისკუსიისა თუ სხვა ტიპის აქტივობების) პირობებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის მომზადება გამომდინარეობს აფილირებული პირის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ნაკისრი სასწავლო-სამეცნიერო ვალდებულებისგან.

16.5. უნივერსიტეტი ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს კვლევითი საქმიანობის ეთიკურობასა და კეთილსინდისიერების დაცვას და აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტის ქცევის საერთო წესების ყველა გამოვლენილ დარღვევაზე

დროული რეაგირება მოახდინოს წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული რეგულაციების საფუძველზე.